ქალაქ თბილისის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №5

25.01.2022 თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
15:00 საათი

<u>**სხდომას ესწრებოდნენ:**</u>

1. შალვა ოგბაიძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. გიორგი ახვლედიანი - კომისიის წევრი;
3. მიხეილ კაკაურიძე - კომისიის წევრი;
4. სალომე კობალაძე - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის ,,თბილისის ავტობუსების პროექტის გაგრძელება - ავტობუსის რეფორმის მხარდაჭერის“ პროექტის შესახებ საგრანტო ხელშეკრულების ხელმოწერის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი **(12-032202162-03; 24.01.2022).**

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

სხდომას თავმჯდომარეობდა - **შალვა ოგბაიძე.**

მომხსენებელი:

- **დავით ჯაიანი** - სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს“ უფროსის მოადგილე.

შ.ოგბაიძე - მომხსენებელს ვთხოვ, წარმოგვიდგინოს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი.

- ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის ,,თბილისის ავტობუსების პროექტის გაგრძელება - ავტობუსის რეფორმის მხარდაჭერის“ პროექტის შესახებ საგრანტო ხელშეკრულების ხელმოწერის თაობაზე თანხმობის მიცემის

შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი **(12-032202162-03; 24.01.2022).**

დ.ჯაიანი მიესალმა კომისიის წევრებს და წარადგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი.

როგორც მან აღნიშნა, 2019 წლის 29 ნოემბერს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის დაიდო სასესხო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, EBRD დათანხმდა თბილისის მუნიციპალიტეტისათვის **80,000,000 (ოთხმოცი მილიონი ევრო)** ოდენობით სესხის გამოყოფაზე, თბილისის საზოგადოებრივი ტრანსპორტის (ავტობუსები) რეფორმის მხარდასაჭერად.

პროექტის ფარგლებში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტმა, ახალი სამარშრუტო ქსელის შესაბამისად, შეიძინა 226 ერთეული ეკო-მეგობრული, კომპრესირებულ ბუნებრივ გაზზე მომუშავე ავტობუსები.

ამის შემდგომ, თბილისის მუნიციპალიტეტმა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს სთხოვა გარკვეული ტექნიკური დახმარების ღონისძიებების დაფინანსება პროექტის მხარდასაჭერად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი თბილისის მუნიციპალიტეტს გადასცემს **240,000.00** ევრომდე ოდენობის თანხას გრანტის სახით EBRD-ის აქციონერთა სპეციალური ფონდიდან. თბილისის მუნიციპალიტეტი თანხმობას აცხადებს, რომ შეარჩევს და დაიქირავებს კონსულტანტს, რომელიც ტექნიკურ დახმარებას გაუწევს თბილისის მუნიციპალიტეტს.

როგორც **დ.ჯაიანმა** განმარტა, საგრანტო ხელშეკრულების მიზანია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის ტექნიკური მხარდაჭერის აღმოჩენა ახალი სამარშრუტო ქსელის დანერგვისა და რეფორმის სხვა კომპონენტების მიმართულებით. კერძოდ, ქალაქში ავტობუსების მომსახურების რეფორმების განხორციელება, რაც მოიცავს ავტობუსების მარშრუტების რესტრუქტურიზაციასა და გაფართოებას, სატარიფო სისტემის რეფორმას, მგზავრობის საფასურის გადახდის ინტეგრირებული ავტომატური სისტემის („AFC“) დანერგვას და ქალაქის პოტენციალის გაზრდას მომსახურების დაგეგმვისა და ახალი საჯარო სერვისების ხელშეკრულებების მართვისა და მონიტორინგის კუთხით, რაც ქალაქს საშუალებას მისცემს მიაღწიოს მისაღებ უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით სტანდარტებს.

საკითხის წარდგენის შემდეგ, სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა. კომისიის წევრები დაინტერესდნენ, რა შედეგს გამოიღებს საერთაშორისო ექსპერტებთან თანამშრომლობა დედაქალაქში სატრანსპორტო მდგომარეობის გაუმჯობესების მხრივ.

კომისიის წევრების მიერ დასმულ ყველა კითხვაზე ამომწურავი პასუხი გაიცა მომხსენებლისა და კომისიის თავმჯდომარის მხრიდან.

კომისიის სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და კითხვა-პასუხის მოსმენის შემდეგ, **შ.ოგბაიძემ** კენჭისყრაზე დააყენა შემდეგი საკითხი:

- მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული თბილისის საკრებულოში წარმოდგენილი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის ,,თბილისის ავტობუსების პროექტის გაგრძელება - ავტობუსის რეფორმის მხარდაჭერის" პროექტის შესახებ საგრანტო ხელშეკრულების ხელმოწერის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით, კომისიამ დაადგინა:

- ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის ,,თბილისის ავტობუსების პროექტის გაგრძელება - ავტობუსის რეფორმის მხარდაჭერის" პროექტის შესახებ საგრანტო ხელშეკრულების ხელმოწერის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (12-032202162-03; 24.01.2022) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

შალვა ოგბაიძე